№ 700 ხუთშაბათი, 10 დეკემბერი. 1896—1898 ხუთშაბათი, 10 დეკემბერი № 700

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირ-და-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

## დამდეგი 1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა
## გაზეთ „ცნობის ფურცელზე"

ფასი წლიურად **6** მან., ნახევარის წლით **4** მან., ერთის თვით **60** კაპ.

ვინც ამ თვეითვე გამოიწერს ერთის წლით, იმას ერთი თვე მუქთად დაეთმობა გაზეთი

---

# ქართული თეატრი

ხუთშაბათს, **10** დეკემბერს

ბენეფისი

## ქ-ნ ჩერქეზიშვილისა

ქართულ დრამატ. საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

I

## რას ვეძებდი და რა ვპოვე

კომედია 3 მოქმ. თხზ. კნ. ბარ. ჯორჯაძისა.

მოქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| თავადი იულიონ, კახელი მებატონე | ბ. კანდელაკი |
| მოურავი | ბ. გედევანოვი |
| სოსია, იულონის შინა ყმა | ბ. შათირიშვილი |
| ოსანა, სომხის ქალი ხნიერი | ქ. ვაშაკიძე |
| მაქთაღა, მაჭანკალი | ქ. ჩერქეზიშვილისა |
| თალალა, ამისი ძმისწული | ქ. კარგარეთელი |
| ავეტიქა, სირაჯი | ბ. აბაშიძე |

პირველი მოქმედება სწარმოებს კახეთის ერთ-ერთ სოფელში, ხოლო მეორე და მესამე ტფილისში.

II

## გლახა ჭრიაშვილი

სცენები, თხზ. თ. ილია ჭავჭავაძისა.

| | |
|---|---|
| პოსრედნიკი | ბ. სვიმონიძე |
| აზნაურის ქვრივი | ქ. ჩერქეზიშვილისა |
| გლახა ჭრიაშვილი | ბ. კანდელაკი |
| ქვრივის მაზლი | ბ. ადამიძე |
| პირველი გლეხი | ბ. თირელი |
| მეორე გლეხი | ბ. დიასამიძე |

ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**

**დასაწყისი სწორედ 8 საათზე**

რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე და ა. მესხი**

ამ მოკლე ხანში იქნება ბენეფისი გ. აბაშიძისა.

---

**1899** წლისათვის ვაპირებ გამოცემას

**უბის წიგნისას კალენდრით**

რომელიც დაიბეჭდება რიცხვით 5000-მდე. ვიღებ განცხადებებს პირველ გვერდზე—5 მან., უკანასკნელზე—2 მან.

ადრესი. *Квирилы. Ивану Ардишвили.* (15—9)

სამკურნალო და ამბულატორია

**ს. ბ. თოფურიასი**

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ა. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ა. ვარშავსკი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лечебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

---

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

**ბენკლევსკი**

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ

**БЕНКЛЕВСКІЙ**

Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (Წ.)

---

# ახალი ამბავი

—

*** ელ. ჩერქეზიშვილის ბენეფისი. დღეს სათავად-აზნაურო თეატრში დანიშნულია ბენეფისი ჩვენის ნიჭიერის არტისტი ქალის ელისაბედ ჩერქეზიშვილისა. წარმოდგენილი იქნება კნ. ბარბარე ჯორჯაძის პიესა „რას ვეძებდი და რა ვპოვე" სამ მოქმედებიანი კომედია, რომელსაც ერთხანად ალტაცებაში მოჰყავდა ჩვენი საზოგადოება. დასასრულ წარმოადგენენ ილია ჭავჭავაძის სცენებს მომრიგებელ მოსამართლესთან „გლახა ჭრიაშვილს". წარმოდგენა ფრიად საინტერესოა და იმედია, რომ საზოგადოებაც ბლომად დაესწრება დღევანდელ წარმოდგენას.

*** მთავარ-მართებლის დაბრუნება. კავკასიის მთავარ-მართებელი გენ.-ად. გ. ს. გოლიცინი გუშინწინ საღამოს დაბრუნდა ბათომიდან ტფილისს.

*** გუბერნატორის დაბრუნება. ტფილისის გუბერნატორი დ. ს. ს. თ. ა. ბიკოვი 8 დეკემბერს დაბრუნდა ტფილისში აბასთუმნიდან.

*** ნავთის მწარმოებელთა საკრედიტო დაწესებულება. როგორც ისმის, ნავთის მწარმოებელთა კრება პეტერბურგში ამ მოკლე ხანში განიხილავს კითხვას იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნეს კავკასიაში რუსეთის ნავთის მწარმოებელთა სასარგებლოდ განსაკუთრებული საკრედიტო დაწესებულება, რომელსაც მიზნად ექნება ამ მრეწველობის საჭიროებათა დაკმაყოფილება.

*** გამგეობის ახალ წევრთა წარდგენა დასამტკიცებლად. 8 დეკემბერს ქალაქის მოურავმა დასამტკიცებლად წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს ბიკოვს ქალაქის საბჭოს მიერ ახლად არჩეულნი წევრნი გამგეობისა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი და მ. ს. შესტაკოვი.

*** სახლების დაფასების საქმე გამგეობისა და იმ კომისიის შე-

როთბულმა სხდომამ, რომელსაც საბჭომ დაფასების უწყების ქაღალდთა შემოწმება მიანდო, დაადგინა: განხილულ იქმნეს ყველა იმ სახლის პატრონთა საჩივრები, რომლებიც უკმაყოფილონი არიან სახლების დაფასებისა, შემდეგ შემოწმებულ იქმნეს თვითეული ნაწილის რამდენიმე უწყების ქაღალდი და დამთავრებულ იქნეს ყოველივე მუშაობა 15 დეკემბრამდე, რათა 1 ლ იანვრიდან შემოღებულ იქნეს ახალი დაფასება.

*** **ქალაქის გამგეობის კანცელარია.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ გარეშე პირთ აღეკრძალოთ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში შესვლა. ხოლო ვისაც რაიმე საქმე აქვს კანცელარიასთან, უნდა მიმართოს პირდაპირ მდივანს ს. თ. ჭრელაშვილს.

*** **ქ. გორის მამასახლისის შუამდგომლობა.** რადგან არ შესდგა არც ის მორიგი სხდომა, რომელზედაც უნდა განხილულიყო ქ. გორის სავაჭრო დეპუტატების არჩევის საქმე, და არც ქალაქის რწმუნებულთა ახლად მოწვეული კრება, ამის გამო გორის ქალაქის მამასახლისი შუამდგომლობს იმის შესახებ, რომ დამტკიცებულ იქმნენ ოთხი წლის ვადით სავაჭრო დეპუტატებად ა. ი. ბაბალოვი, ე. პ. ბაიანდუროვი, ა. ი. როსტომაშვილი და ა. ს. ხარაზიშვილი, და მათ კანდიდატებად ს. გ. გალუსტოვა დ. გ. ბ. ლავითაშვილი, რომლებიც უწინდელ აურჩევიათ ხოლმე ამ თანამდებობებზე („ნ. ობ.“).

*** **სურამი.** **ვეტერინარის შ. დედაბრიშვილის გადაყვანა.** შარშან აქ სურამის საბოქაულოს ვეტერინარად დანიშნული ბ-ნი შიო დედაბრიშვილი საგუბერნიო მთავრობისაგან გადაყვანილ იქმნა ქალაქ დუშეთში დუშეთის მაზრის ვეტერინარად. აქაურები გულწრფელადა სწუხან ბ-ნის დედაბრიშვილის მოშორებას, რომელმაც აქ საზოგადო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

*** **ზუგდიდი.** **გაქცეული დამნაშავის შეპყრობა.** ზუგდიდის მაზრის ღ. ანაკლიაში 4 დეკემბერს ღამით ადგილობრივმა მაზრის ზედამხედველმა ქეიდიამ შეიპყრო გაქცეული დამნაშავე ლუკა გვაზავა, სოფ. აბაშის მცხოვრები. გვაზავას, სამსახურიდან მესამეჯერ გაქცევისათვის, მისაჯული ჰქონდა ტუსაღთ როტაში ცხოვრება. როტიდან გვაზავა გამოიქცა და ჩაიდინა სხვადასხვა დანაშაული. სხვათა შორის მას ბრალდება ებრაელის დუქნის გაცარცვა სუჯუნაში, მიმინაშვილის სახლზე თავდასხმა და სხ.

(„ნ. ობ.“)

*** **სიღნაღი.** **მკვდი და ახ ლი ამბები.** მიყრუვდა ბუნება და მიიძინეს სიღნაღელებმაც; წავიდნენ საზაფხულოთ მოსულნი სტუმრები და სიღნაღელებიც მიყუჩდნენ. არსად ტვინის მოძრაობა, არსად გონების მუშაობა არა სჩანს. სხვა პატარა ქალაქებში ჭორიკანაობენ ხოლმე მაინც; ჭორიკანაობაც ცოტათი მაინც ამოძრავებს კაცს, აღელვებს, ტვინს ამუშავებს, სიღნაღი კი ამასაც მოკლებულია. არც საქმიანობა და არც გართობა არ იზიდავს სიღნაღს. მთელ ქალაქის საქმიანობას შეადგენს მოვაჭრეთაგან მყიდველის მოტყუება და ხანდახან ქალაქის მამებთა კრებები. ან კი რა კრებები, დანიშნულ ალაგას შეგროვდება ამორჩეული 15 კაცი, ერთი საათით ყურს უგდებს იმას თუ უმაღლესი მთავრობა რას თხოულობს მამასახლისისაგან (სტაროსტასაგან), მოისმენენ ქაღალდის შინაარს, მორჩა და გათავდა. თუნდაც არავინ მოისმინოს წაკითხული, ამითი წახდება რამე? ოღონდ კი კანონიერი რიცხვი დაესწროს კრებას და ხელი მოაწერონ მამასახლისისაგან დადგენილ ოქმს. ხშირად არც კი კითხულობენ რაზე აწერენ ხელს. მაგალითად ხორაგეულობაზე ხომ ნიხრს თითონ აწესებენ და ვისაც უნდა შეუძლიან სანაძლეო მოიგოს, რომ ხუთმეტ ამორჩეულ კაცში ორს არ ეცოდინება რა ნიხრი დააწესეს პურზე, თუ გინდ ხორცზე. ყასბებიც ამითი სარგებლობენ და თუ ჰკითხეთ: რა ღირს გირვანქა ხორციო, ერთი სამათ მეტს გეტყვის. თუ გაძალიანდი და მოითხოვე ნიხრი, მაშინ დაყვავებით გეტყვის: „ბატონო რას ჯავრობთ, გნებავთ უფულოდ მიირთვითო“. ამისთანა ალერსი მოხელეებისთვის გახლავთ, თორემ თუ ვინმე გარეშემ შეუბედა დაფასებულზე ნაკლების შეძლევა, მაშინათვე პანჩურით გახეთქენ.

— **ქეიფი და სანაწული.** მაგრამ სიღნაღელები შეჩვეულნი არიან მორჩილებას და აბა მყუდროებას ვინ დაარღვევს. ისეთი სიჩუმე და მყუდროება სუფევს სიღნაღში, რომ ბევრს ლაპარაკიც დავიწყებია და ყბებში ობი მოდებია. თუ ვინმე ყმაწვილი კაცი, ახლად მოსული, ჯერ ვერ შეჩვევია აქაურს მყუდროებას, იმას ფართო მოედანი აქვს დაცლილი. ღვინო იაფია, იქეიფოს რამდენიც უნდა, აქ ამას არც გაკიცხავს ვინმე და არც დაუშლის. სწორედ რომ სარგებლობენ გარემოებით ზოგიერთა ყმაწვილები. შევლენ დუქნებში და ლოთობენ მთელი ღამეები. მაგრამ ეს მოქეიფენი ხანდისხან ძალაუნებურად დაარღვევენ ხოლმე მოქალაქეთა მყუდროებას და ღრმა ძილიდან გამოაფხიზლებენ ხოლმე „დრაქდანთ“, უფრო კი „დრაქდანკებს“.

— **საქველ-მოქმედო წარმოდგენა რუსულად.** ერთმა მოულოდნელმა გარემოებამ გამოაღვიძა ქალაქი ძილიდან, მხოლოდ მთელი ქალაქი კი არა, რამდენიმე პირი. ეს ძილის გამფრთხობი გარემობა გახლდათ ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში გამართული წარმოდგენა. ითამაშეს სცენაზე «Какъ куръ вощи» 3 მოქ. კომ. მიასნიცკისა და «жена на прокашь» ერთ მოქ. ვოდ. მგონი, მიასნიცკისავე.

საერთოდ თამაშს არა უჭირდარა და ზოგიერთ, კოვარდინმა და ქ. ბაქრაძისამ ხომ მშვენივრად ითამაშეს. წარმოდგენა ქალების სკოლის სასარგებლოდ იყო და თუმცა ხალხი ცოტა დაესწრო, მაგრამ შემოსავალი, როგორც ამბობენ 100 მ. ყოფილა.

ეკალი

*** **ზემო-ქართლი.** **შეუპრალებელი ქურდი.** ზემო ქართლში ცხოვრობს ერთი ვაჟბატონი, რომელიც ძალიან დახელოვნებულია ქურდობაში და შეუპოვრად დათარეშობს მთელ ზემო-ქართლში. ეს ქურდი გახლავთ ოსი, შუა ხნის კაცი იქნება; გარეგნული შეხედულება აქვს კეთილშობილი კაცისა და ნივთიერად კარგად არის. ზემო ქართლელმა გლეხმა ვისაც რა საქონელი დაეკარგება, ყველამ დარწმუნებით იცის, რომ საქონელი იმის მოპარულია. აგრეთვე ადმინისტრაციამაც იცის, რომ ყველა დაკარგული საქონელი იმის ხელში გაივლის, მაგრამ მას ვერაფერსაც ვერ უშვრებიან და არც ხმასა სცემენ, რადგანაც ისე ხერხიანათ ქურდობს, რომ მოწმეებს არ ისწრებს პარვის დროს და კანონის ძალით, უმოწმოთ ქურდობა არ არის ქურდობა!.. თვითონ არ დადის საქურდლათ, მას ჰყავს რამოდენიმე მოჯამაგირე, რომლებსაც ზოგს აქეთ-იქით გზავნის საქონლის საქურდლათ და ზოგსაც, ნაქურდლებს ატანს შორს კუთხეზე, უპატრონო საქონელს გასასყიდათ და პატრონიანს მისაბარებლათ, რომ დამკარგავისაგან ფული აიღოს და აპოვნინოს საქონელი. ყველა ზემო-ქართლელ გლეხებს ეშინიანთ და იმაზე ცუდის თქმას ვერავინ ბედავს, რა არის საქონლიდან არ გაგვაჩანაგოსო ვისაც კი დაეკარგება ან ცხენი, ან ხარი ან სხ. მაშინვე საიდუმლოთ, ქუდ-მოხდილებმა ხვეწნა-მუდარით უნდა მიმართონ, რომ აპოვნინოს საქონელი. ისიც დიდი ხვეწნით და მუდარის შემდეგ ართმევს დამკარგავს იმის ნახევარს რაც დაკარგული საქონელი ღირდა. შემდეგ მოხერხებული რაინდი გაატანს თავის მოჯამაგირეს ად[...] კარგავს, ვითომ ძებნის შემდეგ ად[...] მოუჩენენ სადღაც მივარდნილ ადგილს, იქაც მიაცემინებენ საცოდავ გლეხს და ასე ამნაირათ ზემო ქართლელი გლეხი ყიდულობს თავის საქონელს ვიღაც ოსისაგან.

აი ერთი ახალი მაგალითი: ერთმა ღარიბმა ზემო ქართლელმა გლეხმა, წიწა ყულიჯანოვმა, მუშაობის დროს ულელი კამეჩი დაკარგა. აქეთ ეცა საწყალი იქით ეცა, ვეღარ ნახა თავისი კამეჩები. ბოლოს ადგა და მიმართა რაინდს იმანაც უთხრა: „რვა თუმანი ფული მომიტანე და შენ ულელ კამეჩს ერთი თვის განმავლობაში გაპოვნინებო“. წამოვიდა საწყალი დამკარგავი დაღონებულ დაძმარებული და შეუდგა იმ ფიქრს, თუ სად იშოვოს ეს რვა თუმანი ფული?! რადგან უსაქონლოდ იოლად წასვლა ძალიან ეძნელებოდა, რის ვაი-ვაგლახით ივალა საცოდავმა ერთი ურიისაგან, იმ პირობით, რომ თავნიან-სარგებლიანათ სანამ იმ ფულს გადაიხდიდა, ამ ურიის საქმე უნდა ემუშავნა კამეჩებით. როგორც იქმნა დაიხსნა თავისი კამეჩები, მაგრამ ამისთანა დახსნას ისევ დაუხსნელობა სჯობდა, რადგანაც ურიის საქმეზედ მუშაობის დროს ბევრის ჯაფისაგან დაესიცხა ულელი კამეჩი და დაეხოცნენ. დარჩა საცოდავს ვალი გადაუხდელი და ვინ იცის, მგონია მისი შვილი-შვილიც ვეღარ მოესწროს იმ ვალის მოშორებას. აი, ერთი შეუბრალებელი რაინდი ჰყავთ ზემო ქართლელებს და ბევრი გლეხის ოჯახში გამქრალა ცეცხლი მისი წყალობით.

ზემო ქართლელი ტფილისში

## სამღვდელოების კრება ქ. ფოთში.

ამ კრებას თავის სხდომებში 17—19 ნოემბრისა ამა 1898 წ. ჰქონდათ მსჯელობა, მოწოდებით ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრესითა შესახებ საეკლესიო სკოლებისა, რომელიც საქართველოს ექსარხოსის მაღალი ყოვლად უსამღვდელოების ფლაბიანეს ნებართვით გამოცხადებული იყო გაზეთ „კავკაზის“ № 288-ში და დაადგინეს შემდეგნი:

სხდომამ მიიღო რა სახეში, რომ ამ უკანასკნელ ოც წელში ხალხი ზნეობრივ-სარწმუნოებრივ დაცემულია, რომელიც შესდგება იმისგან რომ ცრუ ნასწავლნი და ცუდ მიმართულების კაცნი გამრავლდნენ. ამისთვის სხდომამ აუცილებელ საჭიროებად სცნო გააძლიეროს სარწმუნოებრივი განათლება

საზოგადოებაში განმრავლებით კარგად მოწყობილი საეკკლესიო სკოლებისა. გურია-სამეგრელოს ეპარქია ამ შემთხვევაში დაიმსახურებს განსაკუთრებითი ყურადღებას იმიტომ, რომ ე. ი. გურია-სამეგრელოს ეპარქია, გარშემოზღუდულია სხვა-და-სხვა სარწმუნოების ხალხით, რომელთაც აქვთ არამცთუ ალებ-მიცემობითი, არამედ, ხშირად, მეზობლური კავშირი მართლ-მადიდებელ ხალხთან. სასურველია შესაძლებლად გახშირდეს წმინდა ეკკლესიური განათლება მართლ-მადიდებელ ხალხთა [შ]ორის; ამისათვის სხდომა ჰფიქ[რ]ობს:

1) სხდომა საჭიროებად სცნობს გაიხსნას ეპარქიაში ექვსი ორ-კლასიანი საეკკლესიო სკოლები პროფესსიონალური განყოფილებით, რომლისათვის საჭიროა დაახლოვებით 7,200 მანეთი ყოველ წლობით, რომელთაგან ადგილობითი სამღვდელოება თავის სიღარიბესთან ღებულობს 3,000 მანეთს და [მ]ასთან სხვა ხარჯებს, როგორც [ერთ]ბლითად სასკოლო შენობის [შე]ნებლად, საკლასო ნივთე[ბის] მოსაპოვებლად და სხვათა... [და]ნარჩენი თანხა ყოველ-წლობითი ხარჯისათვის 4,200 მანეთამდის სხდომა სთხოვს მისს ყოვლად უსამღვდელოესობას გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ალექსანდრეს, რათა იშუამდგომლოს მისს მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის შეგნებით გამოითხოვოს უწმიდეს სინოდთან არსებულის სამასწავლებლო რჩევის თანხიდგან. მასთან ყოველ 27 [მ]ბლაღოჩინოში სასურველია იყოს [გახს]ნილი თითო ერთ კლასიანი [ს]ქალებო სამრევლო სკოლა სახელმწიფო ხარჯით (250 მან. წელიწადში თითო სკოლაზე). დროებითი ხარჯები და მაათან ხარჯს პროფესსიონალური განყოფილებისათვის დაჰფარავს ადგილობითი სამღვდელოება.

2 და 3 სარწმუნოებრ-ზნეობ[რ]ივ აღზრდისათვის სხდომა ჰფიქ[რ]ობს მისცეს განსაკუთრებით დი[დი] ყურადღება სამღრთო სჯულის [სწ]ავლებას (გადაცემას) სამშობლო [ენ]აზე, რომელთანაც ერთ-კლასია[ნ]ი და წერა-კითხვის სკოლებისა[თვ]ის სასწავლო გეგმა დარჩეს შეუ[ც]ვლელად, რომელიც დამტკიცე[ბუ]ლია უწმ. სინოდის მიერ 22 სექ[ტ]ემბერს 1885 წ. № 3324-თ. ორი [კ]ლასის კურსი კი გაგრძელდეს [ორ]ი წელს სინოდალურ პროგრამ[ის] დათანახმებით. ორ კლასიან [სკო]ლებში გადიოდნენ მეურნეო-

[...]) საეკკლესიო გალობა (რო[გორ]ც საეკლესიო რუსული, ისე [ს]ეკკლესიო ქართული) საეკკლე[სი]ო სკოლებში ეპარქიისა ძლიერ სუსტათაა დაყენებული, რომლის უმთავრესი მიზეზია ამ საგნისათვის მოუმზადებელ მასწავლებელთა ყოლა. ამისათვის კრება ჰხედავს აუცილებელ საჭიროებად: ა) იშუამდგომლონ, რათა ეს საგანი დაყენებულ იქმნას რიგისამებრ სავაჟებო და საქალებო სასულიერო სასწავლებლებში და სემინარიებში (რადგან უმთავრესი ნაწილი საეკლესიო სკოლის მასწავლებლებისა გამოდიან ზემო აღნიშნულ სასწავლებლებიდან); ბ) დაავალონ ეკკლესიის მოსამსახურეთ, რომელნიც გაცნობილნი არიან საეკკლესიო სკოლებში და ამათი უკეთეს გალობის მასწავლებელთა შრომა წარდგენილ იქმნას ეპარქიალურ მთავრობასთან; გ) გაწყობილ იქმნას ყოველ წლობით საზაფხულო პედაგოგიური კურსები უმთავრესი ყურადღების მიქცევით საეკკლესიო გალობებზე; დ) იმ პირებთაგან, რომელთაც დანიშნავენ პრიჩეტნიკის თანამდებობაზე, მოჰსთხოვონ საეკკლესიო გალობების ცოდნა.

7) აგრეთვე აუცილებელ საჭიროებად სცნო კრებამ გაწყობა განყოფილებებთან წიგნის საწყობებისა სასწავლო და საკითხავი წიგნებისა მოსწავლეების უფასო დასარიგებლად. სანამდის ამისთანა წიგნების საწყობები არ იქმნება დაარსებული და მოწაფეები არ იქმნებიან დაკმაყოფილებულნი წიგნებით, მანამ სწავლა საეკკლესიო სკოლებში იქმნება ცუდ ნიადაგზედ დაყენებული, მაგრამ ამისთანა საწყობებისათვის ყოველ წლობით საჭიროა 5,000 მანეთამდის. ადგილობითი სამღვდელოებას გასულ წლის თებერვალში ნაჩვენები თანხის მეტი არაფერი შეუძლია და ამისთვის საჭიროა გამოითხოვოს დანაკლისი თანხა უწმ. სინოდთან არსებული სამასწავლებლო რჩევის საშუალებიდან.

გურულ-მეგრელი.

(შემდეგი იქნება)

## წმ. დიდი მოწამე ქეთევან, კახეთის დედოფალი *)

(საისტორიო ცნობა)

«მოწყლულმან სურვილითა საღმრთოითა წყლულებანი მრავალნი თავს ისხენ და ტანჯვათა ფერადობანი ახოვნად დაითმინენ, ვინაცა წარმავალისა დედოფლობისა წილ სუფევაჲ ზეცისა დაიმკვიდრე, სამგზის სანატრელო ქეთევან, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის».

(ოხითა დიდი მოწამის ქეთევანისა).

ქეთევანი მეუღლედ წაიყვანა კახეთის მეფის ალექსანდრე მეორის (1574—1605 წ.) ძემ დავითმა. მათ ჰყავდათ შვილები, რომელთაგან შესანიშნავია თეიმურაზ პირველი, მეფე კახეთისა და ხან ქართლ-კახეთისა (1605—1663)... დავითმა, სპარსეთის მეფის შაჰ-აბაზის ჩაგონებით, დაატიმრა თავისი ძმა გიორგი და თორმეტი მისი მომხრე დაჰხოცა. მანვე დაამწყვდია თავისი მოხუცებული მამა ალექსანდრე და თვით გამეფდა, მაგრამ, იტყვის მემატიანე, „არა ჰყოვნა (არ დაუგვიანა) მას ჯავრმან საღმრთომან და დავით, მამისა და ძმის მოღალატე, წარვიდა სოფლად საუკუნოდ“ (ე. ი. გარდაიცვალა)... სწორედ ამ დროს შაჰის კარს სპარსეთში სცხოვრობდა კონსტანტინე, შვილი ალექსანდრე მეორესი და ძმაჲ დავით მეფისა, მაზლი ქეთევან დედოფლისა. კონსტანტინე პატარაობისას მისცა ალექსანდრე მეორემ წინდათ შაჰ-თამაზს, სპარსეთის მეფეს. კონსტანტინე აღზრდილი იყო მაჰმადის სჯულის ზედ-გავლენის ქვეშ და ძლიერ ერთგული იყო ამ სჯულისა. შაჰ-აბაზმა წმ. ქეთევანის ქმრის დავით მეფის გარდაცვალების შემდეგ მისცა მას მეფობა კახეთისა, გამოატანა დიდ-ძალი ჯარი და უთხრა მას: „მოჰკალ მამაჲ შენი მოხუცებული და ძმა შენი გიორგი და, რა გამეფდები, „მაჰმადიან ჰყვენ მკვიდრნი კახეთისანი“... აი რა მიზანი ჰქონდა შაჰ-აბაზს, როდესაც მან მეფედ კახეთში გამოგზავნა წმ. ქეთევანის ქმრის მაგივრად კონსტანტინე გამაჰმადიანებული... ეს მიზანი იყო გამაჰმადიანება მთელის კახეთისა. კონსტანტინე სპარსეთიდგან კახეთს წამოვიდა და თვის მოსვლის შესახებ მამას აცნობა. მოხუცებულს და გულ-კეთილს ალექსანდრეს ძლიერ გაეხარდა კონსტანტინეს დაბრუნება სამშობლოში. ის და მისი ძე გიორგი მიეგებნენ კონსტანტინეს აწინდელს ზაქათალის მაზრის სოფელს ბაზარს, რომელიც მაშინ ქალაქი იყო. ალექსანდრემ და გიორგიმ გამართეს კონსტანტინეს მოსვლის გამო ნადიმობა (ლხინი), ნადირობანი, შეექმნათ დიდი სიხარული და ორივე ღმერთს მადლობდა, რომ დაკარგული შვილი და ძმა კიდევ ნახეს მშვიდობით სამშობლოში დაბრუნებული. მაგრამ ბოროტს კონსტანტინეს, შაჰის ჩაგონებით, გადაწყვეტილი ჰქონდა მოკვლა თვისის მამის და ძმისა და ამისთვის უთხრა ორივეს საიდუმლო რამ მაქვსო თქვენთან დაბარებული შაჰ-აბაზისაგან და უმჯობეს არს, რომ სხვები გარეთ გავიდნენო და თქვენ მარტო მოისმინოთო ეს საიდუმლოო. ალექსანდრეს და გიორგის ვინც კი ახლდა, ყველა გარედ გამოვიდა; მათთან დარჩნენ მარტო აბელ ანდრონიკაშვილი და ძმაჲ მისი რუსთავის ეპისკოპოსი... როგორც კი მხლებელნი გარეთ გამოვიდნენ კარვიდგან, კონსტანტინეს მხედრები, რომელთაც მან წინად გაუცხადა თვისი განძრახვა, შეცვივდნენ კარავში და მოჰკლეს მეფე ალექსანდრე, ძეჲ მისი გიორგი, აბელ ანდრონიკაშვილი და ძმაჲ ამისი ეპისკოპოსი რუსთავისა. გვამები მოკლულთა დასაფლავებულ იქმნა დიდის ტირილით და გლოვით წმ. ქეთევანის მიერ ალავერდის ტაძარში... კახეთის ხალხი შეძრწუნდა ამ ურჯულოებით, იგი გულის სიღრმემდის აღელვებული იყო ამ ღვთის წინააღმდეგი მკვლელობით, ის ზიზღით გაიმსჭვალა მამისა და ძმის მკვლელი კონსტანტინეს მიმართ... ამ დროს ხალხი თვისს ნუგეშად, თვისს პატრონად და მფარველად სახავდა მხოლოდ წმ. ქეთევან დედოფალს, რომლისკენ ჰქონდა მას მიმართული თვისი ცრემლ-შეუშრობელი თვალები. ჯერ საფლავში არც კი იყო გაცივებული ულვთოდ მოკლულთა გვამები, ჯერ ხალხი და წმ. დედოფალი ქეთევანი არც კი გამორკვეულიყვნენ მწუხარებიდამ, რომ მათ გაიგონეს სხვა შემაძრწუნებელი უსჯულოების ხმა, რომელმაც უკიდურესად გაამწვავა ხალხი და მოთმინებიდან გამოიყვანა. უსჯულო კონსტანტინემ გაუგზავნა მოციქულები კახეთის დედოფალს, თავისის ძმის ცოლს, ქეთევანს და უთხრა მათი პირით: მე მებოძა ტახტი კახეთისა, ჩემი ძმა დავით მკვდარ არს და შენ ჩემზედ გამოთხოვდი!“... აღმწერი წმ. ქეთევანის ცხოვრებისა, სამართლიანად იტყვის აღელვებული ამ უსჯულოებით, კონსტანტინეს შესახებ: „ჰოი თავო ბოროტო და მესისხლეო, როგორ იკადრე ამ გვარის უსჯულოებისა განძრახვა იმის შესახებ (ქეთევანის შესახებ), რომლისა გარემო ანგელოზნი უფლისანი მდგომარეობენ მცველად, რომლის სიწმიდესა ვერ შეეხებიან ბიწნი ვნებათანი, რომელი ყოველ თვისს თანამედროვეებს აღემატა ხელვით და საქმით შინაგანითა მშვენიერებითა“...

ილ. ფერაძე

(შემდეგი იქნება)

## სხვა-და-სხვა ამბავი

[...]შავი ჭირი (ჟამი). დიდი ხანია მას შემდეგ რაც მეცნიერებამ გამოიკვლია ის გარემოება, თუ რა ზომები უნდა იყოს მიღებული ზოგიერთ იმ სენის მომრავლების წინააღმდეგ, რომლებსაც გადამდებლობის თვისება აქვთ. მაგალითად ავიღოთ უკვე ნაცადი და ყველასაგან მიღებული საშუალება წინააღმდეგ ყვავილისა, ცოფისა და სხ. ამ უკანასკნელს ჟამებში, როდესაც შავმა ჭირმა მუსვრა დაუწყო აღმოსავლეთის მხა-

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 699.

რის ხალხს, მეცნიერები გულმოდგინეთ შეუდგნენ ზომების გამოკვლევას წინააღმდეგ შავის ჭირისა და ზოგიერთებს კიდეც დაუჯილდოვდათ შრომა; ამ შემთხვევაშიაც საუკეთესო ზომად აცრა სცნეს. ამ ზომის გამომკვლევი მეცნიერები ბევრნი არიან, ხოლო მათ შორის განსაკუთრებითი ყურადღება მიიქციეს ორმა მათგანმა: ხავკინმა და იერსენმა. ხავკინის ასაცრელი საშუალება წარმოადგენს ხორცის ბულიონის მაგვარ სითხეს, ამ სითხეში ურევს მიკროორგანიზმებს, შემდეგ ერთს საათს ადუღებს, ამ ხნის დუღილის განმავლობაში მიკროორგანიზმები იხოცებიან, შემდეგ იღებს და ადამიანის კანში უშვებს; ამის შემდეგ იშვიათათ, რომ შავი ჭირით ვად გახდეს ადამიანი და თუნდაც გახდეს მაინცა და მაინც ადვილად მორჩება. რაიცა შეეხება იერსენის გამოკვლეულს ასაცრელს წამალს, ის სისხლის შრატისგან შესდგება, რომელიც დიდი ხნის მეცადინეობის შემდეგ ცხენის სისხლიდგან მიიღო. ამ წამლით აცრილს ადამიანს არამც თუ არ ეკარება შავი ჭირი, არამედ განგებაც რომ შეუშონ სხეულში მიკროორგანიზმები, მაინც ზედ გავლენას ვერ ახდენენ.

ზემო აღნიშნული ასაცრელი საშუალებანი სცადეს ინდოეთ-ჩინეთში, პირველად აცრა სცადეს დიდრონს თაგვებზედ. როდესაც ევროპიდგან გემი მოვიდა, იქ დაიჭირეს ოცი თაგვი, ათს აუცრეს ხავკინის ასაცრელის სითხეთი, ათიც აუცრელი დასტოვეს, დაამწყვდიეს ოციცენი ერთს გალიაში და შემდეგ შეუშვეს უკვე შავის ჭირით ავადმყოფი თაგვი. ცოტა ხნის განმავლობაში აღმოჩნდა, რომ იმ ათი თაგვისაგან, რომლებიც აცრილნი არ იყვნენ, ავად გახდა შავიჭირით ცხრა და დანარჩენი ათი თაგვიდგან გახდა ავად მხოლოდ ერთი.

მას შემდეგ ეს ზომები იხმარეს პირველად ინდოეთის ერთის სოფლის მცხოვრებლებზედ, სადაც ჯერ შავი ჭირი არ მძვინვარებდა. აუცრეს 429 კაცს, მათ შორის ავად გახდა მხოლოდ 7 და შემდეგ ისინიც გამოსაღდნენ, დანარჩენი 571 კაცი, რომლებიც აცრილნი არ იყვნენ და ვერ მოასწრეს ავად გახდა 29 კაცი და ამ ოცდა ექვსისაგან 24 კაცი მოკვდა. ამავე ხავკინის წამლით ექიმებმა აუცრეს ქალაქ დავგერ-დამა-უნში 2197 კაცს, ხოლო აუცრელნი დარჩნენ 6033 კაცი, პირველს შემთხვევაში მოკვდა შავი ჭირით 36 კაცი, ხოლო მეორე შემთხვევაში 1482 კაცი. ამ რიგათ ხავკინის აცრის შესახებ მრავალი მაგალითებია, მოყვანილი, რომლებიდგანაც ნათლათა სჩანს, რომ მეტათ სასარგებლო ზომაა ხავკინისებური აცრა შავი ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად. იერსენის აცრის შესახებ შემდეგისათვის მოვილაპარაკებთ.

ივ. კავთელი

## ყურმოკრული საუბარი

გურული მაჭანკალი. ერთს გურულს ოჯახში ქალი ჰყავსთ გასათხოვარი. ქალის დედასთან მთელს სოფელში ცნობილი მაჭანკალი მიდის ქალის გათხოვებაზე სიტყვას ჩამოუგდებს:

— მზეხა, შენ ცოცას გაგათხუებიებ, თუ გინდა, კაი ბიჭზე.

— იმას გამათხუებიებდე, თვარა კაი ძროხის მეოთხედსაც-კი მოგცემ.

— შენ ახლა, ჩემო მზეხა, გამუაწყვე კაი ყორიფელი გვზითები და გათხუება ჩემი საქმე იყოს.

— ვინ გყავს თვალში სასიძოთ?

— ამას შენ ნუ ჩივი, ნუფერს ნუ კითხულობ მისას. რომ გაათხოვ და გესტუმრობი კი გეტყვის მაშინ, რაგა ოჯახში მიგიყვანია. იმიშთანა ოჯახია, რომ გადათფოფინებული. ყორიფელი დუღს და გადადუღს. მზისა და წვიმის გამეტი მის სახლჩი ვეფერი ვერ ჩავა და ვერც ჩეიხედავს. რა აქ, არ იცის, მსუყე ოჯახი აქ. მისას ყველს და ქათამს მისაჭმელი არ უნდა... იმისანა არ გეგონოს, ეგერ-ესერ რომ გაგიგონია. მერე ქე მეტყვი მადლობას...

— ვინაა, რა გვარია?

— ვინაა და გვარიც კაი აქ და გუჯაბიც.

— მაინც ვინაა?

— ვინაა და ბებია მისი კაი აზნაურიშვილის ქალი იყო. დედაც კაი აზნაურიშვილის ქალიშვილი იყო. დედა მისის ბებიეც კაი აზნაურიშვილის ქალი იყო.

— ვინაა, ქალო, არ მეტყვი?

— დედა მის ახლაც სული უდგია, კაი ქალია.

— რა გვარია?

— რა გვარია და გუშინდელ სადილსავით მახსოვს მისი დაბადება.

— ვინაა, მაინც მითხარი.

— ვინაა და ბლადოჩინის მონათლულია, ონისიმე ბლადოჩინის, გუშინ რომ ტირილში იყო დაპატიჟებული გრიგოლიტა მუხუზლაიასას

— მაინც რა გვარია?

— გვარიც კაი აქ და გუჯაბიც, ამას რას კითხულობ!

— მაინც მითხარი.

— მაი და მაიც პირში სათქმელათ თუ გინდა, გვარი კაიობით კაია, ტაკოძეა გვარათ, სახელი მისი ვოსეუმაია ჩვენი...

პლ. ბ—ძე.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 დეკემბერი

**იალტა.** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ინახულა ლივადიაში დაბანაკებული მსროლელთა და ვილენის რაზმები, რომელთაც ამ დღეს გარდაიხადეს დღესასწაული. ხელმწიფემ მიულოცა ჯარს და მიირთვა მათი სადღეგრძელო.

**სტამბოლი.** დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოზის ძე ხუთშაბათამდის დაჰყოფს აქ.

**სოფია,** რადოსლავოვის მომხრეთ ყრილობა მოახდინეს, რათა წინააღმდეგობა განეცხადებინათ აღმოსავლეთ რკინის გზების შესყიდვისა გამო. ყრილობამ დაადგინა, მოითხოვოს სამინისტროს გადადგომა, რადგანაც ეს შესყიდვა ბოლგარიას შიშს უქადისო. როდოსლავოვი თავისის მომხრეებით სასახლისაკენ გაემართა, რათა ყრილობის დადგენილება გარდაეცა მთავრისათვის. პოლიციას, რომელმაც გზა გადაუღობა, ქვების სროლა დაუწყეს და ერთი ჟანდარი მძიმედ დასჭრეს. გაისმოდა ყვირილი: „შორს მთავრობა! გაუმარჯოს მთავარს!“ მანიფესტატები გაჰფანტეს, 12 კაცი შეიპყრეს.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. ანტისემიტი ლაზიესი შეეკითხა დრეიფუსის საქმის შესახებ, ამასთან მან ბრისონს ბრალი დასდო—კონსტიტუცია დაარღვიაო. შემდეგ ორატორმა გაჰკიცხა საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატა, რომლის პრეზიდენტის ძმაც გერმანიის მოხელე ლევი, სცდილობს დრეიფუსის გამარჯვებასაო. ამ სიტყვებმა დიდი „უკმაყოფილება გამოიწვიეს. დასასრულ ლაზიესმა განაცხადა, რომ დრეიფუსისა და პიკარის საქმე— მხოლოდ საბაბია, რომლის შემწეობითაც უნდათ ჯარი გაჰკიცხონო; ამიტომ ურჩია ფრეისინეს—ჯარი დაიცევიო. ფრეისინემ მიუგო, რომ საქმე საკასაციო სასამართლოს გარდაეცა განსახილველად. მაშასადამე სამხედრო სამინისტრო ისე არ უნდა მოიქცეს, რომ ვინმემ,—სთქვას სამინისტრომ გარდაწყვეტილებაზედ გავლენა იქონიაო. მე ვაცნობებ საკასაციო სასამართლოს ყველა იმ საბუთის ქაღალდებს, რომელნიც ჩემს ხელთ არის, გარდა იმ საბუთის ქაღადებისა, რომელთა გადაცემითაც შეიძლება სახელმწიფოს რაიმე შიში მოელოდეს ასეთს საბუთის ქაღალდს არც ერთს არ გადავცემ. (ტაშის ცემაა). თუ პალატა არ დამეთანხმება, მე მზადა ვარ თანამდებობას თავი გავანებოო. მუნფორმა ჰკითხა: საკასაციო სასამართლომ როგორ და რის შემწეობით დაადგა აზრს იმის შესახებ, საბუთის ქაღალდს ისეთი მნიშვნელობა აქვს თუ არა, რომ საქმის გარდაწყვეტა შეიძლოს? ფრეისინემ მიუგო, რომ აწინდელმა სამინისტრომ არ უწყის ის ოფიციალური საბუთის ქაღალდები, რომელნიც საკასაციო სასამართლოს აქვს ეს საბუთის ქაღალდები მე არასოდეს არ მინახავს, ჩემ ხელთ არის მხოლოდ ის, რასაც საიდუმლო dossier-ს ეძახიან. ამ dossier-ში ისეთი საბუთის ქაღალდებია, რომელთა გამოქვეყნებაც შეიძლება სახელმწიფოსთვის საშიში იყოს. ამ საბუთის ქაღალდებს, მხოლოდ მაშინ ვაცნობებ, როდესაც დარწმუნებული ვიქნები, რომ არ გამოაქვეყნებენო, (ტაშის ცემაა). ლაზიესმა განაცხადა, —ასეთ პირობებში საქმის ხელ-ახლა განხილვა კომედიააო; შემდეგ მადლობა გადაუხადა მინისტრს ასე ნათლად განმარტებისათვის და დასძინა: „ეხლა დამტკიცებულია, რომ საიდუმლო bossier-ი არსებობს, ამიტომ ჩემ შეკითხვას უკანვე ვიბრუნებო“. (ტაშის ცემაა).

**სოფია** ბოლგარიის მრავალმა ქალაქმა, კორპორაციებმა და კერძო კაცებმა გაუგზავნეს ხელმწიფე იმპერატორს, დიდ მთავარს და რუსეთის ხალხს დეპეშები, რომლებშიც მადლობას აცხადებენ იმ ომისათვის, რომლის წყალობითაც ბოლგარია განთავისუფლებულ იქმნ[illegible]


## განცხადებანი

გაბრიელ ეპისკოპოსის

სადარბაზო

სურათი

ტუშით დახატული, ერთის ალაბის სიმაღლე და სიგანე, მშვენიერ ხავერდის ჩარჩოში ჩასმული, ისყიდება „ქართველთა შორის წ. კითხვის გამავრ. საზოგადოებაში“

ფასი 35 მან. (5—4

ისყიდება ყველა ქართულ წიგნ

მაღაზიებში

მ. ღამის გამოცემული წიგნები:

რჩეული ლექსები და უკვდავი სარდალი, ცახელისა 10 კ.
ნათელა, პოემა აკაკისა . 20 კ.
გამზრდელი, მისივე . . 5 „
მოდა . . . . . 5
საუკეთესო ლექსა კრება . 5
მარო, დ. მაჩხანელისა . 3
იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდ

პოემების კრებული

აჩრდილი, მომაკვდავის ჩვენება და იმედი . . . 5

(50—5)

დაიბეჭდა 1899 წლის

ქართული

კედლის კალენდარი

შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ

ისყიდება ყველგან ქართულ წიგნებ

მოვაჭრეებთან.

ფასი ყველგან 40 კაპ.

უმთავრესი საწყობი: Тифлисъ. Пи
бумажный магазинъ С. М. Лазарев

(5—